Telavi Municipality

Digitally signed by Telavi Municipality
Date: 2023.06.06 16:50:47 +04'00'

მოძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება

N0531/323

2023 წლის 30 მაისი

ერთის მხრივ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირის **შპს „ალტა რითეილი“ (ს/ნ 402033312**), იურიდიული მისამართი: **ა.ბელიაშვილის ქ. #104, ტელ: +995 32 38 00 38,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ჟურულის** მიერ, შემდეგში: „გამყიდველი“ და მეორე მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტის მერია (ს/ნ),231291535 იურიდიული მისამართი: თელავი ერეკლე II N16, ტელ: 0(350) 27 00-91 ელ.ფოსტა წარმოდგენილი მერის პირველი მოადგილის ნიკოლოზ მეტრეველის სახით, შემდეგში: „მყიდველი“.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველი ვალდებულია მფლობელობაში და საკუთრებაში გადასცეს მყიდველს დანართ #1-ში მოცემული მოძრავი ნივთები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული საბუთები და საგარანტიო სერტიფიკატები.

1.2 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 32324000-ტელევიზორები.

1.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა. (მონეტარული ზღვრის დაცვით)

1.4 დაფინანსების წყარო - 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის მთლიანი ღირებულებაა 299 (ორას ოთხმოცდაცხრამეტი), რომელიც განსაზღვრულია დანართ #1-ში.

2.2 დანართი #1 ამ ხელშეკრულების არსებითი და განუყოფელი ნაწილია.

2.3 გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ლარში. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2.4 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

2.5 გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს დანართი #1-ში მითითებული ნივთ(ებ)ი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2023 წლის 10 ივნისამდე.

2.6 მყიდველი ვალდებულია ხელი შეუწყოს გამყიდველს საკუთარი ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებაში (რაც ასევე მოიცავს ნასყიდობის ფასის სრულად და დროულად გადახდას და შესაბამისი პირობების შექმნას) და მიიღოს ნასყიდობის საგანი.

2.7 ქონებაზე საკუთრებისა და მფლობელობის უფლება მყიდველზე გადადის ზედნადებზე ან მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერისთანავე ან ანგარიშფაქტურის დადასტურებისას.

2.8 ნასყიდობის საფასურისა და მასთან დაკავშირებული სხვა თანხების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით. უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდის შემთხვევაში მხარე ვალდებულია ნასყიდობის საფასური გადაიხადოს გამყიდველი კომპანიის შპს „ალტა რითეილი“-ს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE24BG0000000648700100

2.9 უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის დროდ მიიჩნევა თანხის ასახვის მომენტი ხსენებულ „ალტა რითეილის“-ს საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ქონების ხარისხი, ხარისხის შემოწმება და პრეტენზიის წარდგენა

3.1 გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ასეთად ჩაითვლება ნივთი, თუ: ა. შესრულება შეთანხმებული ოდენობისაა;

ბ. მისი გამოყენება შესაძლებელია დანიშნულებისამებრ, ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისთვის;

გ. მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

3.2 საგარანტიო ტალონი(არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ძალა. საგარანტიო ტალონი ძალის მქონეა იმ შემთხვევაშიც, თუ მას ხელი მოაწერა საქონლის მიღებაზე მყიდველის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ეს უფლებამოსილი წარმომადგენელი მყიდველის დირექტორი.მიწოდებეულ საქონელზე ვრცელდება გარანტია საგარანტიო ფურცელზე მითითებული ვადით .ქარხნული დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრის ვადა 30 (ოცდაათი) სამუშაო დღე. მოცემული პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ ნივთებზე, რომელთაც გააჩნიათ საგარანტიო ვადა, ამისთვის აუცილებელია,რომ დანართში იყოს მითითება საგარანტიო ვადის შესახებ. თუ დანართში არ იქნება ამგვარი მითითება, მაშინ მყიდველისათვის მიწოდებული/მისაწოდებელ საქონელზე არანაირი საგარანტიო/ ვარგისიანობის ვადა არ არსებობს და გამყიდველს რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

3.3 მყიდველი ადასტურებს და მისთვის ცნობილია, რომ კარტრიჯებზე რაიმე სახის საგარანტიო ვადა არ ვრცელდება. შესაბამისად მყიდველს არ წარმოეშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 496 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება ვარგისიანობის ვადაში ნივთის შეკთებასთან ან შეცლასთან დაკავშირებით.

3.4 მყიდველს არ აქვს უფლება გამყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები. ასევე, მყიდველს ეკრძალება ნასყიდობის ფარგლებში გადაცემული ქონების კომერციული მიზნით მესამე პირზე გადაცემა (შემდგომი რეალიზაცია). ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აანაზღაუროს ამ ქმედებით გამოწვეული ზიანი.

3.5 მყიდველი ვალდებულია ქონების საკუთრებაში და მფლობელობაში მიღებისას შეამოწმოს მისი ხარისხი. თუ ქონება შეესაბამება ხელშეკრულების 3.1 მუხლში მოცემულ პირობებს, ქონება ჩაითვლება უნაკლოდ.

3.6 „3.5“ პუნქტით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების შემდეგ მხარეები ხელს აწერენ ზედნადებზე ან მიღება-ჩაბარების აქტზე, რითაც დასტურდება, რომ მყიდველმა მიიღო უნაკლო შესრულება.

3.7 თუ ქონების საკუთრებაში და მფლობელობაში მიღებისას განხორციელებული შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ქონება ნაკლის მქონეა, მყიდველს უფლება აქვს ისარგებლოს კომპანიაში მოქმედი მისთვის ინდივიდუალურად გადაცემული საგარანტიო პირობებით.

3.8 გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას შეკეთებაზე, შეაკეთოს ან გამოცვალოს ნაკლოვანი ქონება, რომელიც დამოკიდებულია მოქმედ საგარანტიო პირობებზე. ნივთის ახლით გამოცვლის შემთხვევაში ნაკლოვანი ნივთი უბრუნდება გამყიდველს. 3.8 გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, იქნება ეს შეკეთება, გამოცვლა და ა.შ. თუ აღნიშნული მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.

3.9 ქონების ნაკლთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით შესაბამისი ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე (მყიდველი) კარგავს შესაბამის მოთხოვნასთან დაკავშირებულ უფლებებს.

3.10 „3.9“ მუხლში მითითებული შემთხვევისას პრეტენზიის წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგს: პრეტენზიის არსს, ნაკლოვანი ნივთის მახასიათებლებს და ყველა იმ ინფორმაციისშემცველ დოკუმენტებს, რომლებიც ნივთის იდენტიფიცირებისთვისა და საგარანტიო შესრულებისთვის არის საჭირო.

მუხლი 4. გასაყიდი ქონების საბაზრო ფასის ცვლილება

4.1 გასაყიდი ქონების საბაზრო ფასის ცვლილების შემთხვევაში, გამყიდველს უფლება აქვს შესაბამისად შეცვალოს მისი ღირებულება. ცვლილება არ შეეხება იმ ქონებას, რომელზეც უკვე გამოიწერა ზედნადები. გამყიდველი ატყობინებს მყიდველს ფასის ცვლილების შესახებ. ფასის ცვლილება არ საჭიროებს მყიდველის თანხმობას.

მუხლი 5. მხარეზე რისკის გადასვლის მომენტი

5.1 გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად, ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის ან ნებისმიერი სხვა სახის მიღება-ჩაბარების დოკუმენტის ხელმოწერისთანავე, მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2 მყიდველმა ნივთის გარეგან დაზიანებაზე პრეტენზია უნდა განაცხადოს ნივთის მიღებისას. ნივთის მიღების შემდგომ დაფიქსირებულ პრეტენზიაზე გამყიდველი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მყიდველი ვალდებულია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადისგადაცილების შემთხვევაში გადაიხადოს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობაადანართი #1-ში მითითებული თანხის 0.15 (ნოლი მთელი თხუთმეტი) პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს მოთხოვნა მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება ვალდებულების სრულ შესრულებამდე, ხოლო დავის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღემდე.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების მიუღებლობის ან დაგვიანებით მიღების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გამყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაუხადოს მას ხელშეკრულების ღირებულების 10 %. ვინაიდან გამყიდველს მიადგა ზარალი ტრანსპორტირების ხარჯების კუთხით ის უფლებამოსილია გამოქვითოს მოცემული პირგასამტეხლო მყიდველის მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხიდან.

6.3 „6.1“ და „6.2“ პუნქტებით გათვალისწინებული წესები არ გამორიცხავს სხვა მოთხოვნებსაც, იქნება ეს ძირითადი შესრულების მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.4 გამყიდველიი ვალდებულებას იღებს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით საგარანტიო მომსახურების განხორციელებაზე, შემსრულებელი არ აგებს პასუხს ქარხნული წუნის ან მის მიერ მიწოდებული ნივთის ნებისმიერი დაზიანების შედეგად ,მოცემული ხელშეკრულებით მიწოდებულ ნივთთან მიერთებული/დაკავშირებული ნივთის განადგურებაზე ან დაზიანებაზე.

6.5 ყოველგვარი გაუგებრობის/შეუსაბამობის გამორიცხვის მიზნით მხარეები ადასტურებენ, რომ გამყიდველის პასუხისმგებლობა მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემოფარგლულია არაუმეტეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ღირებულების 10%-ით . პასუხისმგებლობის შეზღუდვის დებულება ვრცელდება მოცემული ხელშეკრულებიდან და საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე ნებისმიერ ზიანზე.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1 თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

7.2 „7.1“ მუხლში მითითებულ დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებებს, კერძოდ: 1) ხანძარი ან აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება; 2) სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი; 3) სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ობიექტურად არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს.

7.3 დაუძლეველი ძალის დადგომისას მეორე მხარე ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას.

7.4 დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს იმ სახელმწიფო სავაჭროსამრეწველო პალატის ან სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მას ჰქონდა ადგილი.

7.5 ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ შეტყობინების ზემოაღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვის შემთხვევაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7.6 თუ ფორს-მაჟორული ვითარება გაგრძელდა 2 (ორი) თვეზე მეტი ვადით, მხარეებს უფლება აქვთ გადასინჯონ ხელშეკრულება და სურვილის შემთხვევაში შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ იგი. ასეთ ვითარებაში მხარეები ვალდებული არიან განახორციელონ საპასუხო შესრულება ყველა იმ მოქმედებისთვის, რომელიც განხორციელებულია მეორე მხარის მიერ.

მუხლი 8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

8.1 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას.

8.2 მყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ გამყიდველი საქონლის მიწოდების ვადას გადააცილებს 10 (ათი) დღის ვადით.

8.2 გარდა ზემოაღნიშნული წესისა, გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში, მყიდველისთვის 10 (ათი) დღით ადრე გაკეთებული შეტყობინებით. ასეთ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ფაქტობრივად გადაცემული ქონების ღირებულება დანართი #1-ის შესაბამისად.

9. დავის გადაჭრის წესი

9.1 მხარეები ეცდებიან ამ ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაჭრან მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამყიდველის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლადსაქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 ნაწილის შესაბამისად.

10. გარდამავალი დებულებები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამყიდველს, ხოლო მეორე - მყიდველს.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

10.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით გარიგების დადების გზით.

10.4 ნასყიდობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5 თუ კანონმდებლობაში ცვლილებების გამო ხელშეკრულების რომელიმე მუხლი ან პირობა დაკარგავს ძალას, სხვა მუხლები და პირობები რჩება ძალაში.

10.6 მყიდველი ამ ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ გადახდას აწარმოებს ხელშეკრულების 2.8 მუხლში მოცემულ რეკვიზიტებზე.

10.7 ყველა შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუ ის გაიგზავნა დაზღვეული ფოსტით მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ან ჩაბარდა მხარეს ხელზე. თუ მხარე მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ არ აცნობებს მეორე მხარეს, ძველ მისამართზე მისული შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

10.8 მხარე ვალდებულია ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილებისას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მხარეთა ამ ურთიერთობაზე, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს,

წინანააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი ქმედების განუხორციელებლობით გამოწვეული ზიანი.

სხვა პირობები

1. მყიდველი მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ პროდუქციის მიწოდებისას მას გადაეცა საგარანტიო ტალონი ,რომლითაც განსაზღვრულია, საგარანტიო ვადა და საგარანტიო მომსახურების პირობები. მყიდველი ადასტურებს, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ პირობებს.

2. საგარანტიო ტალონი წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ძალა.

3. მიწოდებეულ საქონელზე ვრცელდება გარანტია საგარანტიო ფურცელზე მითითებული ვადით .

4. ქარხნული დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრის ვადა 30 (ოცდაათი) სამუშაო დღე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ალტა რითეილი“ **იურიდიული მისამართი: ა.ბელიაშვილის 104** **საიდენტიფიკაციო ნომერი 402033312** **დირექტორი** **გიორგი ჟურული** -------- Giorgi Juruli 01008010904 Digitally signed by Giorgi Juruli Date: 2023.06.01 17:01:32 ---	**მყიდველი: თელავის მუნიციპალიტეტის მერია** **იურიდიული მისამართი: ქ.თელავი, ერეკლე II გამზ.N16** **საიდენტიფიკაციო ნომერი: 231291535** **მერის პირველი მოადგილე** **ნიკოლოზ მეტრეველი** ----------

2023 წლის N0531/323 მოძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულების

დანართი N1

N	დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)

1	ტელევიზორი TV/LED/color view/TV 32 (80cm) 32gf (2022) blach HD 178*/178*260cd/m2 900:19 ms VGAHDMI USB DVB-T2/S/S2 2x8W 75x75mm NICAM	1	299	299

სულ ჯამი:	299

სულ ჯამში: 299 (ორას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი

შპს „ალტა რითეილი“ **იურიდიული მისამართი: ა.ბელიაშვილის 104** **საიდენტიფიკაციო ნომერი 402033312** **დირექტორი** **გიორგი ჟურული** _____ Giorgi Juruli 01008010904 Digitally signed by Giorgi Juruli Date: 2023.06.01 17:00:55 _____	**მყიდველი: თელავის მუნიციპალიტეტის მერია** **იურიდიული მისამართი: ქ.თელავი, ერეკლე II გამზ.N16** **საიდენტიფიკაციო ნომერი: 231291535** **მერის პირველი მოადგილე** **ნიკოლოზ მეტრეველი** ----------